„დამტკიცებულია“
მრჩველთა საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის
N01-01/03 გადაწყვეტილებით
დანართი N2

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩველთა საბჭოს

ნუგზარ(ბაჩუკი)ჩხეიძე (სახელი გვარი)
(პირადი ნომერი)
(ტელეფონის ნომერი)
(ელ-ფოსტის მისამართი)
(საცხოვრებელი ადგილი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ღია კონკურსში მონაწილეობაზე

გაცნობებთ, რომ სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“ს დირექტორის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ შემდეგი სახის ინფორმაციას თანდართული დოკუმენტებით:

1. **მუშაობის გამოცდილება**

სამუშაო გამოცდილება ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია,
2006 წლიდან დღემდე;	ა(ა)იპ საზოგადოება ბათუმელი , გამგეობის თავჯდომარე
2011-2012 წელი	აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატი, მრჩეველი
2011 წელი	აჭარის ა.რ. ჯანდაცვის სამინისტრო , მინისტრის მოადგილე
2006-2010 წელი	ქ. ბათუმის საკრებულო, წევრი, იურიდიულ და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე
2011 წელი	აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თავჯდომარე.
2010-2011 წელი	აჭარის ა.რ. მთავრობის აპარატი, პროტოკოლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
1989-1993, 1995-1998 წელი	ტურისტული კომპანია ,,ეგრისი“ , ხელმძღვანელი

ჟურნალისტთა მუშაობის გამოცდილება სამუსაო პერიოდი (დაწყება / დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია,
-	-

ადამიანის უფლებათა სფეროში სამუშაო გამოცდილება, მუშაობის პერიოდი	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
215675880
შემოსული
N "24" 05 2019

(დაწყება/დასრულება)	
2003 დღემდე	საზოგადოება ბათუმელი, თავჯდომარე

სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში სამუშაო გამოცდილება, მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია
-	-

2. **აკადემიური ხარისხი**

უმაღლესი სასწავლებლ(ებ)ის დასახელება/სახელწოდება და სწავლის პერიოდი	მინიჭებული აკადემიური ხარისხი
ქ.ბათუმის შოთა რუსთაველი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და ისტორიის მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2016 წლიდან დღემდე	დოქტორანტი
ქ. თბილისის შალვა ნუცუბიძის სახელობის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობა. 1993-1998 წელი	მაგისტრი
ქ.ბათუმის შოთა რუსთაველი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ისტორიკოსი. 1988-1993	მაგისტრი

ვიცნობ და ვეთანხმები ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესს.

თანახმა ვარ, ჩემს მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მასზე დართული ყველა დოკუმენტაცია გასაჯაროვდეს.

დანართი - გვერდზე

1. პირადობის მოწმობის, პასპორტის ან ID ბარათის ასლი;
2. მაგისტრის ანდა მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ასლ(ებ)ი;

განმცხადებლის სახელი გვარი ნუგზარ (ბაჩუკი) ჩხეიძე
ხელმოწერა

განცხადების წარმოდგენის თარიღი
24.05.2019

ნუგზარ(ბაჩუკი)ჩხეიძე
მობილური: [redacted] ელ-ფოსტა: [redacted]
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
დაბადების თარიღი: [redacted]

განათლება
ქ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და ისტორიის მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი: ისტორია

ქ.თბილისის შალვა ნუცუბიძის სახელობის დამოუკიდებელი ინსტიტუტი სექტემბერი / 1993 - ივლისი / 1998
იურიდიული ფაკულტეტი , სამართალმცოდნეობა

ქ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1988 - ივლისი / 1993
ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი,ისტორიკოსი

აჭარის ა. რ. მთავრობის აპარატი ,მრჩეველი ოქტ / 2011 - ივლ / 2012
მოვალეობები: თვითმმართველობის საკითხებში მრჩეველი.

მინისტრის მოადგილე, აჭარის ა. რ. ჯანდაცვის სამინისტრო, ივნ / 2011 - ოქტ / 2011
მოვალეობები: სტატისტიკისა და მონიტორინგის ხელმძღვანელობა.

თავმჯდომარე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, იან / 2011 - ივნ / 2011
მოვალეობები: აჭარაში ტურიზმისა და შესაბამისი მომსახურეობის მომზადება-უზრუნველყოფა.

პროტოკოლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აჭარის ა. რ. მთავრობის აპარატი
, ნოე / 2010 - იან / 2011
მოვალეობები: დაგეგმილი და დასაგეგმი შეხვედრების უზრუნველყოფა და ყველა იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებული არის შეხვედრების მომზადებისათვის.

წევრი, იურიდიულ და საპროცესო კომისიის თავ-რე, ქ. ბათუმის საკრებულო, ოქტ / 2006 - ივნ / 2010
მოვალეობები: ქ. ბათუმთან დაკავშირებული პროექტების განხილვა და დამტკიცება(ვიზირება, დასკვნა) .
შემოსული დოკუმენტაციის სამართლებრივი ანალიზი და განხილვა.

გამგეობის თავმჯდომარე- დამფუძნებელი, საზოგადოება "ბათუმელი", იან / 2006 - დეკ / დღემდე
მოვალეობები: საზოგადოების ხელმძღვანელობა და საზოგადოების ჩართულობის უძრუნველყოფა აღნიშნული საქმიანობისათვის.

იურისტ-კონსულტანტი, იურიდიული კომპანია " ბარისტერი", იან / 1999 - დეკ / 2001
მოვალეობები: იურიდიული კონსულტაციები.

ხელმძღვანელი,ტურისტული კომპანია " ეგრისი",

იან / **1989** - დეკ / **1993** 1995 – 1998წ
მოვალეობები: კომპანიის ხელმძრვანელი

უცხო ენები

რუსული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

MICROSOFT OFFICE WORD (ძალიან კარგი), **MICROSOFT OFFICE EXCEL** (ძალიან კარგი), **MICROSOFT OFFICE POWERPOINT** (ძალიან კარგი), **MICROSOFT OFFICE OUTLOOK** (ძალიან კარგი)

პროექტები
ქალაქ -მუზეუმი "თამარიანი", ივნისი / **2013** - დღემდე .თანაავტორი, პირველი ქართველი ქალი მეფის- წმინდა თამარის ისტორიის- ეპოქის გაცოცხლება და იმ დროის ისტორიულ-კულტურული და ეკონომიკური მოვლენების სრულყოფილად შენარჩუნება მომოვალი თაობებისათვის.

ბათუმური ისტორიები, მაისი / **2013** - მაისი / **2013** თანაავტორი, ბათუმისა და ბათუმელების შესახებ დამზადებული დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახულ იქნა ის ადამიანები რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქალაქის ისტორიის შექმნაში.

ბათუმობა, დეკემბერი / **2006** - პროექტის ავტორი, ბათუმის ისტორიისა და განვითარების გარშემო დაგეგმილი ღონისძიებები და საზოგადოების ჩართულობა ბათუმის ისტორიის სრულყოფილად შენახვა მომავალი თაობებისათვის.

საპატიო ბათუმელი, ივნისი / **2006** –პროექტის ავტორი ქალაქის კოლორიტი- წარჩინებული ადამიანების გამოვლენა და საჯარო დაჯილდოვება, მათი ღვაწლის დასაფასებლად- საპატიო ბათუმელის წოდებით.

ოჯახის წევრები
შვილი, თამთა ჩხეიძე

შვილი, თემური ჩხეიძე

მეუღლე, ნატალია ზაქარეიშვილი

GEORGIA

DIPLOMA AA № [redacted]

This is to certify that Mr/Ms Nugzar Chkeidze

was admitted, in the year 1993 to the Nutsubidze Independent Institute of Tbilisi RHETORIC and in 1998

completed the full academic course of the Institute

department of Law

majoring in Law Studies

By resolution of the State Examination Board, dated 26 June 1998 Mr/Ms Nugzar Chkeidze is

conferred the qualification of Lawyer

with the rigth to ....

Rector Ch. Lokava

Chairman of the State Examination Board Z. Jinjolava

Dean E Ustiashvili

City Tbilisi

on 1998

Registration № [redacted]

Secretary [illegible]

საქართველო

დიპლომი AA № [redacted]

მიეცა ნუგზარ თეიმურაზის ძე ჩხეიძეს

მასზედ, რომ იგი 1993 წელს ჩაირიცხა [illegible]

[illegible] „რიტორიკა"

და 1998 წელს დაამთავრა [illegible]

[illegible] სრული კურსი

[illegible] სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 26 ივნისის

გადაწყვეტილებით ნუგზარ ჩხეიძეს მიენიჭა

იურისტის კვალიფიკაცია.

რექტორი [illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [illegible]

დეკანი [illegible]

ქალაქი თბილისი

1998 წ.

სარეგისტრაციო № [redacted]

მდივანი [illegible]

დიპლომი

ЦВ № [redacted]

ეს დიპლომი მიეცა ნუგზარ თეიმურაზის ძე ჩხეიძეს

მასზე, რომ იგი 1988 წელს შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

და 1993 წელს დაამთავრა ინსტიტუტი

სრული კურსი სპეციალობით ისტორია (რუსული სექტორი)

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1993 წ. 10 ივნისის გადაწყვეტილებით

ბ.თ. ჩხეიძეს მიენიჭა ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი ბათუმი 1993 წ. „14" ივლისი

სარეგისტრაციო № [redacted]

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЦВ № [redacted]

Настоящий диплом выдан Чхеидзе Нугзару Таймуразовичу

в том, что он в 1988 году поступил в Батумский государственный педагогический институт имени Шота Руставели

и в 1993 году окончил полный курс института

по специальности история (русский сектор)

Решением Государственной экзаменационной комиссии 10 июня 1993 г.

Чхеидзе Н. Т.

присвоена квалификация учителя истории

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Батуми „14" июля 1993 г.

Регистрационный №

Московская типография Гознака. 1990.

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფცია

საზოგადოებრივი მაუწყებელი ,სამართლებრი ვი სტატუსიდან გამომდინარე, არის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი ,საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდების მიზნით შექმნილი მაუწყებელი, რომელიც სახელმწიფო ქონების საფუძველზეა შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედებს, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელია და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას .საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც აჭარის საზოგადოებრივი ტელე-რადიომაუწყებელი ვალდებულია ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახადოს პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ ჩვენი რეგიონის , სრულიად საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს.

საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნა და განვითარება არარის მხოლოდ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება, ეს არის სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებისთვის საჭირო ინსტრუმენტი ,რომელიც უნდა გამოვიყენოთ ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის საკეთილდეოდ.

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის, სამოქალაქო კონსოლიდაციისა და ჩართულობისთვის, საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც ინსტიტუტს, აქვს უმნიშვნელოვანესი მისია საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური,სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში, საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში. შესაბამისად საზოგადოებრივი მაუწყებელი მოსახლეობას უნდა აწვდიდეს მრავალმხრივ და ობიექტურ ინფორმაციას, სთავაზობდეს ხარისხიან და სასარგებლო პროდუქტს.

ნდობის მოპოვება მოსახლეობაში შესაძლებელია მხოლოდ სწორი, სწრაფი, ობიექტური ინფორმირების შემთხვევაში; ახალი ამბები უნდა გადიოდეს ყველაზე უფრო ყურებად დროს; ახალი ამბების გაშუქებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რეგიონის მოვლენების გაშუქებას, შემდეგ მთლიანი ქვეყნის მოვლენებს და ბოლოს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

აუცილებელია, აჭარის რაიონებში (განსაკუთრებით მაღალმთიანეთში) ბიუროსან კორესპონდენტული პუნქტების არსებობა ,იქ მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად.

მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტუდიური ტოქ-შოუს დაარსება, სადაც მოწვეული იქნება რამდენიმე სტუმარი, აუდიტორია და განიხილება როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური თემები. მნიშვნელოვანია მსგავსი თოქ-შოუების უფრო ინტენსიურად გაშუქება წინა საარჩევნო პერიოდში, ვინაიდან, საზოგადოების მაღალი ინტერესის თემა, სწორედ, წინა საარჩევნოდ მიმდინარე პროცესები და საარჩევნო ბატალიებია.

ჯურნალისტური გამოძიების გადაცემები, რომლებიც ეხებასაზოგადოების მაღალი ინტერესის სფეროს, უფრო ყურებადს და რეიტინგულს გახდის საზმაუს.იმის გარდა, რომ კანონმდებლობა საზოგადოებრივ მაუწყებელს აკისრებს შინაარსობრივ ვალდებულებებს, მან ასევე უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი თანასწორობა, ახალია მბების, საზოგადოებრივ - პოლიტიკურ,საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიმართულების განვითარება. ეს არის საზმაუს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ,რომლის უზრუნველყოფა შესაძლებელია, თემატური გადაცემებისა და დოკუმენტური ფილმების ციკლის მეშვეობით. ესმიმართულება მეტად საინტერესო უნდა გახდეს ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის .

საგანმანათლებლო- შემეცნებითი მიმართულების განვითარება განსაკუთრებით ესაჭიროება მაღალმთიანი რაიონების აუდიტორიას. ამ გადაცემებში უნდა აისახოს ჩვენი რეგიონის ისტორიული მოვლენები, როდესაც წყდებოდა არა მარტო რეგიონის ,არამედ მთელი ქვეყნის ბედი, საკვანძო ფაქტები, რომლებმაც მოგვიყვანა დღევანდელ რეალობამდე.რათქმაუნდა, ასეთი ტიპის გადაცემები უნდა იყოს მიმზიდველი და ხარისხიანი.

მოცემული მიმართულების განვითარებით აჭარის ტელე-რადიო საზოგადოებრივი მაუწყებელი, იღებს საგანმანათლებლო ინსტიტუციის ფუნქციას ,რა უმნიშნელოვანესი კვანძია ახალი თაობის ინფორმირებაში ,ცოდნის მიღებაში და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებაში, რაც მათ მნიშვნელოვნად დაეხმარებათ ისეთი პროფესიის არჩევაში, რომელიც გამოადგება არა მარტო მათ არამედ თავიანთ რეგიონსა და ქვეყანას. საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესაძლებლობები ამ მიმართულებით ამოუწურავია და უნდა ვითარდებოდეს დროსთან ერთად.

საზოგადოებრივ მაუწყებელს შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში, მოქალაქეობრივი თვითშეგნების და პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლებაში; პოლიტიკური გემოვნების და კულტურის ჩამოყალიბებაში ,ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფორმირებაში მონაწილოების მიღების მნიშვნელობაზე.

აჭარის საზმაუმ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნისთვითყოფადობის,სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას; უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პოპულარიზაცია.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლობის ეფექტურობა დამოკიდებულია მრჩეველთა საბჭოს და დირექტორის კვალიფიკაციაზე, მსოფლმხედველობაზე ,გამოცდილებაზე, გუნდურიმუშაობის უნარზე, სუბორდინაციის დაცვის გრძნობაზე და პასუხისმგებლობის გააზრებაზე. ამ ორი ორგანოს მიერ ნაყოფიერი თანამშრომლობა გამოიწვევს დადებით შედეგებს.

აჭარის საზოგადოებრივ ტელე-რადიო მაუწყებელს შეუძლია თვისობრივად ახალიპროდუქტის შექმნა ყველა სოციალური ჯგუფისთვის. იმშემთხვევაში, თუ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქტის მოხმარება პრაგმატულ და წარმატებულ გამოცდილებას შექმნის, მისი სანდოობის ხარისხი გაიზრდება.

პროდუქტიული მუშაობისთვის, დადადებითი შედეგის მიღწევისთვის, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ვებ. რესურსების ათვისება,რათა საზმაუს შეუზღუდავი რაოდენობის და ფორმატის პროდუქტისგან თავსების საშუალება მიეცეს. ამასთანავე იქმნება შესაძლებლობა, რომ მომხმარებელმა თავად შეძლოს ინიციატივების შემოთავაზება.

სოციალური მედია არხებისათვის საშუალებას მოგვცემს მიზნობრივი აუდიტორიის იდენტიფიცირებაში.

მაღალი ხარისხის მობილური ინტერნეტის შემოტანის ფონზე, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სატელეფონო საშუალებით აუდიტორიასთან კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე ძლიერი მობილური აპლიკაციის შექმნა და ამ გზით მომხმარებელთან კომუნიკაცია, შესაძლოა ,საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახდეს.

ნუგზარ(ბაჩუკი)ჩხეიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატი

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
ADMINISTRATION OF GOVERNMENT

№ 1197/02

"02" 10 2018

ცნობა

ეძლევა ნუგზარ ჩხეიძეს (პირ. N[redacted]) მასზედ, რომ იგი 2010 წლის 8 სექტემბრიდან 2011 წლის 12 იანვრამდე მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პროტოკოლისა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, 2011 წლის 12 იანვრიდან 2011 წლის 6 აპრილამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის, 2011 წლის 6 აპრილიდან 2011 წლის 4 აგვისტომდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, ხოლო 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 3 აგვისტომდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლის თანამდებობებზე.

ცნობა გაიცა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

აპარატის უფროსი — არჩილ ჩიქოვანი

6010 ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9, Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

საზოგადოება „ბათუმელი“
მის: ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. 10
ტელ: 577 58 04 00
Mail: sazogadoebabatumeli@gmail.com

_23_/ _05_/ 2019 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ნუგზარ (ბაჩუკი) ჩხეიძეს, პირადი ნომერი N მასზედ , რომ იგი 2006 წლის 22 მარტიდან დღემდე არის ა(ა)იპ ,,საზოგადოება ბათუმელი“-ს თანადამფუძნებელი, ამავე დროს 2006 წლის 22 მარტიდან 2009 წლის 20 თებერვლამდე გამგეობის თავმჯდომარე .2014 წლის 9 თებერვლიდან თავიდან იქნა არჩეული და დღემდე არის ა(ა)იპ „საზოგადოება ბათუმელი“-ს გამგეობის თავმჯდომარე .

ცნობა გაიცა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

საზოგადოება „ბათუმელი“- ს

გამგეობის წევრი ლევან სამსონაძე

ქ. ბათუმის საკრებულოს
განკარგულება № 10

ქ. ბათუმი

12 ოქტომბერი 2006 წ

ქ. ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ ნ. ჩხეიძის არჩევის შესახებ

„ადგილობრივი თვირთმართველობის შესახებ“ საქართ-ველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ქ. ბათუმის საკრებულო ადგენს:

1 არჩეული იქნას ნუგზარ ჩხეიძე ქ. ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ ქ.ბათუმის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

2. განკარგულება ამოქმედეს ხელმოწერისთანავე.

ქ. ბათუმის საკრებულოს
თავმჯდომარე ბ. ქაჯაია

ასლის
დამოწმება
№1

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულო

ბათუმი
15 " მარტი, 2007 წელი

№ 39

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ქ. ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ ნ. ჩხეიძის არჩევის შესახებ" ქ. ბათუმის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №10 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ქ. ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ ნ. ჩხეიძის არჩევის შესახებ" ქ. ბათუმის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №10 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრის – ნ. ჩხეიძის თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ".

ბ) განკარგულების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრი – ნუგზარ ჩხეიძე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ იქნეს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.".

2. განკარგულება ძალაშია „თვითმმართველი ქ. ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს განკარგულების ამოქმედების მომენტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბ. ქადაგიძე

GEORGIA AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA
ბ. ქადაგიძე
№1

რეგისტრირებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
იუსტიციის დეპარტამენტის მიერ
„22" [illegible] " 2006წ.
№ [redacted] გადაწყვეტილებით
რეგისტრაციის № [redacted]
დეპარტამენტის [illegible]
/მ. ნაკაშიძე/

07/10

საზოგადოება „ბათუმელი"

(რეგისტრირებული კავშირი)

წ ე ს დ ე ბ ა

ქ. ბათუმი
2005 წელი

ბათუმელთა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანია ქალაქის საკეთილდღეოდ გააერთიანოს სხვადასხვა ეროვნების, პროფესიის, რელიგიური აღმსარებლობისა და პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებული არიან ქალაქური წესისა და ტრადიციების აღდგენა – შენარჩუნებით, კულტურული მემკვიდრეობის გაფრთხილებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განუხრელი დაცვით, ვაყალიბებთ–საზოგადოება „ბათუმელ"- ს.

1. ზოგადი დებულება

1.1 საზოგადოება „ბათუმელი" (რეგისტრირებული კავშირი) არის წევრთა ნებაყოფილობითი გაერთიანება, რომლის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სამართლებრივი აქტები და წინამდებარე წესდება;

1.2 საზოგადოება არის იურიდიული პირი

1.3 საზოგადოება „ბათუმელი"-ს მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

1.4 საზოგადოება „ბათუმელი"-ს აქვს თავისი დროშა და გერბი, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების საერთო კრება;

1.5 საზოგადოება „ბათუმელი"-ს ადგილსამყოფელია –

1.6 საზოგადოების სახელწოდებაა: საზოგადოება „ბათუმელი" (შემდგომში საზოგადოება)

2. საზოგადოების მიზნები და ამოცანები

2.1 საზოგადოება „ ბათუმელი" ახორციელებს:

–ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, პროფესიის, რელიგიური აღმსარებლობისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას;

–ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს;

–აწყობს ლექცია – სემინარებს, კონფერენციებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებს;

–ხელს უწყობს ქ.ბათუმში მცხოვრები მოსახლეობის დასაქმებას;

–ამზადებს ბუკლეტებს, ბიულეტენებსა და სხვა სახის ბეჭდვით მასალას;

–უზრუნველყოფს ვიდეო – აუდიო და ფოტო პროდუქციის შექმნას და გავრცელებას;

–მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ მოვლენებთან დაკავშირებით ბათუმელთა მოსაზრებებს, წინადადებებსა და შენიშვნებს აფიქსირებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;

–შეხვედრების ორგანიზებას სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან;

–მჭიდრო თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორთან;

–სოციოლოგიური კვლევების ჩატარებას;

–ქალაქური ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება;

–აღნუსხავს ქვეყნის სხვა ქალაქებში მცხოვრებ გამოჩენილ ბათუმელებს და ამყარებს მათთან საქმიან, მეგობრულ კავშირებს;
–მერიასთან შეთანხმებით ხელს უწყობს კავშირურთიერთობების გამყარებას ბათუმის მოძმე ქალაქებთან.
–შეიმუშავებს და ხელისუფლების წინაშე წარადგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს ქალაქისათვის მნიშვნელოვანი კულტურულ, სამეურნეო, არქიტექტურულ და სხვა საკითხების მოსაგვარებლად, ქალაქის მხატვრული იერსახის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქის ქუჩების სახელწოდებათა შეცვლა – გადახალისების შესახებ;
– სოციალური პირობების, კულტურული დონის ამაღლების კვალობაზე თავის ძალისხმევას მიმართავს საკლუბო ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებაზე;
–ქმნის შემოწირულობათა ფონდს გაჭირვებაში ჩავარდნილ თანაქალაქელთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერის მიზნით;
–ყოველმხრივ ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრებ ბათუმელთა დაახლოებას მშობლიურ ქალაქთან;
–აქტიურად მონაწილეობს ქალაქის აღმშენებლობით, კეთილმოწყობით სამუშაოებში;
–მისთვის მისაწვდომი ყველა საშუალებებით პროპაგანდას უწევს განათლებასა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ბათუმელთა მიღწევებს;
–მერიასთან ერთად ხელს უწყობს „ბათუმობის" დღესასწაულის დამკვიდრებას, საქალაქო, რაიონული, ეროვნული თუ საერთაშორისო ფესტივალებისა და კონფერენციების ჩატარებას;
–მუდმივი კონტაქტები აქვთ ქ. ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობასთან და მასმედიის საშუალებებთან;
–აწყობს თემატურ გამოფენებს, ამგდარ ბათუმელთა გახსენების საღამოებს, კონცერტებს, სალონურ შეხვედრებს, სიმღერებისა და კინოფილმების პრეზენტაციებს, სპორტულ ასპარეზობებს.

3. საზოგადოების წევრობა

3.1 საზოგადოება „ბათუმელის" წევრად შეიძლება გახდეს ქ.ბათუმის მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქე;
3.2 საზოგადოება „ბათუმელის" წევრად მიღება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე გამგეობის გადაწყვეტილებით წევრად მიღებისათვის შეიძლება გაინსაზღვროს სხვა დამატებითი პირობებიც რომლებსაც ადგენს საზოგადოების გამგეობა;
3.3 საზოგადოება „ბათუმელის"წევრობიდან გასვლა ნებაყოფლობითია;
3.4 საზოგადოება „ბათუმელის" წევრობა მემკვიდრეობით ან სხვა ფორმით არ გადაეცემა;
3.5 საზოგადოება ბათუმელი უფლებამოსილია გამგეობის გადაწყვეტილებითმიიღოს კავშირის წევრი;
3.6 საზოგადოება „ბათუმელის" საერთო კრების გადაწყვეტილებით, შეუფერებელი საქციელის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის პირობებში გარიცხვის წევრი;

4. საზოგადოება „ბათუმელის" წევრის უფლებები და ვალდებულებები

4.1 საზოგადოება ბათუმელის წევრს უფლება აქვს:
- მიიღოს მონაწილეობა წევრთა საერთო კრებაში;

- აირჩიოს და იყოს არჩეული საზოგადოება „ბათუმელის" ხელმძღვანელ ორგანოებში;
- წარმოადგინოს წინადადებები საზოგადოება „ბათუმელის" ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;
- მონაწილეობა მიიღოს საზოგადოება „ბათუმელის" კომისიებისა და კომიტეტების საქმიანობაში თუ ასეთი შეიქმნა;
- მიიღოს საჭირო იმფორმაცია საზოგადოება „ბათუმელის" საქმიანობის შესახებ;
- მიიღოს მონაწილეობა საზოგადოება „ბათუმელის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
- ისარგებლოს საზოგადოების ქონებით დადგენილი წესის მიხედვით;
- საზოგადოებიდანმისი გარიცხვის შემთხვევაში, საერთო კრების გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში;
- ნებაყოფლობით დატოვოს საზოგადოება,

4.2 წევრი ვალდებულია:
- დაიცვას საზოგადოების წესდება და შინაგანაწესი;
- მონაწილეობა მიიღოს საზოგადოება „ ბათუმელის" საქმიანობაში და შეასრულოს საპროგრამო დოკუმენტის მოთხოვნები;
- შეასრულოს ხელმძღვანელ ორგანოთა მითითებები და გადაწყვეტილებები;
- ხელი შეუწყოს საზოგადოებას მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში;
- თავისი საქციელით არ დაუშვას საზოგადოების ავტორიტეტის შელახვა.
- გადაიხადოს საერთო შესატანი წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

5. სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

5.1 საზოგადოება ბათუმელის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთჯერ, კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან საზოგადოების ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით კრებამდე 2 კვირით ადრე;

5.2 კრების საერთო კომპეტენციას განეკუთვნება:
- საზოგადოება „ბათუმელის" წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;
- გამგეობის წევრთა არჩევა – საკრებულოს წევრთა არჩევა;
- რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან საზოგადოების მიზნების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ყველა სხვა საკითხი რაც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას;

5.3 რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა გამგეობის გადაწყვეტილების, ან წევრთა არანაკლებ 1/10 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დღის წესრიგის მითითებით.

5.4 საერთო კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე 2/3 უმრავლესობით. საზოგადოების მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა 4/5. იმ წევრებს რომლებიც ვერ ესწრებიან საერთო კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს,